

Corona - სპეციალური ინფორმაცია საქსონიის მიწისთვის

როგორ მუშაობენ საჯარო დაწესებულებები?

საქსონიის ლტოლვილთა საბჭოს ინფორმაციით ამჟამად ყველა დაწესებულება მუშაობს. თუმცა, ჯობ ცენტრები და დასაქმების სააგენტოები აღარ გვთავაზობენ ინდივიდუალურ შეხვედრებს. ისინი მხოლოდ eService- ის საშუალებით აგრძელებენ მუშაობას.

წვდომა განათლებაზე?

საქსონიის სკოლებში ამჟამად არასასწავლო პერიოდია. ეს ნიშნავს: არ არის სავალდებულო ბავშვებისთვის სკოლაში სიარული, მაგრამ მათ შეუძლიათ სკოლაში წასვლა. სკოლაში მასწავლებლები აგრძელებენ მუშაობას.

ამ შეთავაზების გამოყენება შეუძლიათ:

მაგალითად მშობლებს, რომლებიც მუშაობენ

ან ვერ იზრუნებენ შვილებზე რაიმე სხვა მიზეზის გამო.

შესაძლებელია, რომ სკოლები მთლიანად დაიხუროს სამშაბათს, 17 მარტს. ეს შეეხება ასევე საბავშვო ბალებსაც.

ვის უნდა მივმართო სიმპტომების შემთხვევაში?

მნიშვნელოვანია: თუ თქვენ გამოგივლინდათ კორონას სიმპტომები, ნუ მიხვალთ ექიმთან. უმჯობესია დარეკოთ ცხელ ხაზზე. ამ დროს ზარი ხორცილედება ჯანდაცვის უწყებაში და მნიშვნელოვანია, რომ სწორ უწყებაში დარეკოთ. ასეთი უწყებები უნდა შეარჩიოთ თვექნი საცხოვრებელი ადგილის, ქალაქის და მიწის მიხედვით.

ასევე შეგიძლიათ ექიმთან დარეკვა. ექიმებს შეუძლიათ ინფორმაციის გადაცემა.

ცხელი ხაზი ქემნიცში: 0371 488 53 21

ცხელი ხაზი დრეზდენში: 0351 488 53 22

ცხელი ხაზი ლაიფციგში: 0341 123 68 52, ორშაბათიდან კვირის
ჩათვლით 8 – 18 საათამდე

ცხელი ხაზი ცვიკაუში: 0375 44 02 21 111

ცხელი ხაზი ერცგებირგის ოლქი: 03733 83 13 008

ცხელი ხაზი ბაუცენში: 03591 52 52 12 12 1

ცხელი ხაზი გიორლიცში: 03581 66 35 65 6

ცხელი ხაზი მაიზენში: 03521 72 53 435 Mail: corona@kreis-meissen.de

ცხელი ხაზი საქსონიის შვეიცარიის-ოსტერცგებირგის რაიონი: 03501 515
11 77

ცხელი ხაზი ლაიფციგში: 03437 984 55 66

ჩრდილო საქსონიის ცხელი ხაზი: 03421 758 55 55 / 03421 758 55 56,
ორშაბათიდან კვირის ჩათვლით 8-18 საათამდე.

16 მარტის მდგომარეობით: არ ფუნქციონირებს ცხელი ხაზი შუა
საქსონიის და ფოგტლანდის რაიონებში. რეგულარული საკონტაქტო
ინფორმაციაა:

შუა საქსონიის ჯანდაცვის სამსახური Gesundheitsamt Mittelsachsen:
03731 79 6249 / gesundheit@landkreis-mittelsachsen.de

ფოგტლანდის ჯანდაცვის სამსახური Gesundheitsamt Vogtland: 03741 300
35 00 / zenker.kerstin@vogtlandkreis.de

როგორ გავუმკლავდეთ კარანტინს? რა მოთხოვნები უნდა დავიცვათ?

საქსონიის ლტოლვილთა საბჭო (შემდგომში SFR) დაუკავშირდა შინაგან
საქმეთა სამინისტროს. SFR იმედოვნებს, რომ პირველადი მიმღები
დაწესებულებები

Hamburger Straße in Dresden

Bremer Straße in Dresden

Grillenburg

Max-Liebermann-Straße in Leipzig

Dölzig

Adalbert-Stifter-Weg in Chemnitz

Flemminger Straße in Chemnitz

Thüringer Weg in Chemnitz

Schneeberg

არ მოხვდებიან კარანტინში. საქსონიის ლტოლვილთა საბჭო იმედოვნებს,
რომ ადამიანები სწრაფად გადანაწილდებიან მიწებისა და ქალაქების
ტერიტორიებზე. შესაძლებელი უნდა იყოს ადამიანების სასტუმროებში
და ჰოსტელებში განთავსება. ამ შემთხვევაში მნიშვნელობა არ აქვს
ადამიანი ჯანმრთელი იქნება თუ არა.

გარდა აღნიშნული ბანაკებისა საქსონიაში ასევე სხვა დიდი საცხოვრებელი ობიექტებია. ეს არის საერთო საცხოვრებლები. ისინი მიეკუთვნებიან მიწის ადმინისტრაციულ ერთეულებს და ქალაქებს. ერთ-ერთი ასეთი საცხოვრებელია მაგალითად Torgauer Strasse– ზე ლაიფციგში. აქვე SFR იმედოვნებს, რომ ადამიანებს იქიდან ბინებში, ჰოსტელებში ან სასტუმროებში დააბინავენ. აღნიშნული SFR- მა შინაგან საქმეთა სამინისტროშიც განაცხადა. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ მივიღებთ სწრაფ და მრავალენოვან ინფორმაციას.

განახლებადი ინფორმაცია ხელმისაწვდომია MDR Sachsen– ზე.
სამწუხაროდ ეს ინფორმაცია მხოლოდ გერმანულ ენაზეა:

დრეზდენის რეგიონისთვის (დრეზდენი, მაიზენის ოლქი, საქსონიის შვეიცარიის-ოსტერცგებირგის ოლქი):

<https://www.mdr.de/sachsen/dresden/corona-ueberblick-dresden-landkreis-meissen-saechsische-schweiz-osterzgebirge-100.html>

ქემნიცის რეგიონისთვის (ქემნიცი, შუა საქსონია, ცვიკაუს ოლქი, ერცგებირგის ოლქი, ფოგტლანდი):<https://www.mdr.de/sachsen/chemnitz/corona-chemnitz-mittelsachsen-zwickau-erzgebirgskreis-vogtland-100.html>

ობერლაუზიტცის რეგიონი (ბაუცენის ოლქი, გიორლიტცის ოლქი):
<https://www.mdr.de/sachsen/bautzen/coronavirus-oberlausitz-100.html>